



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

ხელმძღვანელობას

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის
31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი; შედეგად, გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში“ (<https://aris.sao.ge/>).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

გენერალური აუდიტორი

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები.....	2
1. რეკომენდაციები.....	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	11
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები	17
4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	18

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

აღსრულების ეროვნული ბიურო – სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

ბილინგის სისტემა – სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული სისტემა, სადაც ცენტრალიზებულად მიმდინარეობს კლიენტების მიერ მომსახურების საფასურის გადახდა და აღრიცხვა.

დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო – სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

ეროვნული არქივი – სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი – სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

იუსტიციის სახლი – სსიპ – იუსტიციის სახლი.

მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი – სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

საკანონმდებლო მაცნე – სსიპ – საკანონმდებლო მაცნე.

საჯარო რეესტრის სააგენტო – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

სერვისების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ციფრული მმართველობის სააგენტო – სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტო.

1. რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

1.1 მოთხოვნები

აუდიტის მიგნება	საჯარო რეესტრის სააგენტოს, ციფრული მმართველობის სააგენტოს და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს 2021 წელს მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებია;
	საჯარო რეესტრის სააგენტოს და იუსტიციის სახლს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოთხოვნების“ მუხლის ნაშთი მოიცავს 937,400 ლარის ¹ ხანდაზმულ დებიტორულ დავალიანებებს.
მიზეზი	მოთხოვნა-ვალდებულებების არასათანადო კონტროლი.
გავლენა	მოთხოვნა-ვალდებულებების რეალურობასთან დაკავშირებული რისკები.
რეკომენდაცია	მოთხოვნა-ვალდებულებების რეალურობის დასადგენად, მნიშვნელოვანია ციფრული მმართველობის სააგენტომ, საჯარო რეესტრმა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ შექმნან შესაბამისი კონტროლის მექანიზმები და ინვენტარიზაცია ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში საჯარო რეესტრის სააგენტოზეც გაიცა რეკომენდაცია რომლის შესრულების სტატუსი არის მიმდინარე.

¹ იუსტიციის სახლი - 865,185 ლარი; საჯარო რეესტრი - 72,215 ლარი.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

იუსტიციის სახლი, ციფრული მმართველობის სააგენტო, პრობაციის
ეროვნული სააგენტო

1.2 ქონების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციური სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 1,310,904 ლარის ღირებულების მიწა, რომლებზეც შეწყვეტილია სარგებლობის უფლება.²

მიზეზი

ქონების ფაქტობრივ მოსარგებლეებთან არ არის გაფორმებული ურთიერთშეთანხმება.³

გავლენა

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები წარმოდგენილია გაზრდილი ღირებულებით.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში პენიტენციურ სამსახურზე გაცემულია რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსი არის მიმდინარე.

² გადაცემულია კულტურის სამინისტროზე, 2021 წლის 29 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტი (უნომრო).

³ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას გამორჩენილია მიწა.

1.3 ქონების ღირებულებით აღრიცხვის ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება	იუსტიციის სახლის ბალანსზე ირიცხება 5,777 კვ.მ მიწა,⁴ რომელიც არ არის შეფასებული და ღირებულებით ასახული.
მიზეზი	საჯარო რეესტრისა და იუსტიციის სახლის ჯამურად 28,292 ერთეული მატერიალური მარაგი⁵ ასახულია მხოლოდ რაოდენობრივად. აქტივების შეფასებისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსების არარსებობა. მუნიციპალიტეტის მიერ ნორმატიული ფასების არასრულყოფილად წარმოდგენა.
გავლენა	ფინანსურ ანგარიშგებაში მიწა და მატერიალური მარაგები წარმოდგენილია შემცირებულად.
რეკომენდაცია	ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების აღრიცხვის, სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, საჯარო რეესტრის სააგენტომ და იუსტიციის სახლმა განახორციელონ ღირებულების გარეშე არსებული აქტივების შეფასება და ბალანსზე ასახვა.
კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საჯარო რეესტრი, იუსტიციის სახლი

1.4 ვალდებულებები

აუდიტის მიგნება	აღსრულების ეროვნული ბიუროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგების მუხლში – „ვალდებულებები დეპოზიტით“ ასახულია 154,105,414 ლარის ნაშთი. აღნიშნული მუხლი შედგება სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებული და
------------------------	--

⁴ მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული მიწა - 5,500 კვ.მ და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიწა - 277 კვ.მ, მათ შორის, 5,500 კვ.მ უკვე შეფასებული და ასახულია.

⁵ საჯარო რეესტრი - 19,625, იუსტიციის სახლი - 8,667.

კრედიტორებისთვის გასანაწილებელი თანხებისა და გირაოს თანხებისაგან.⁶ ვალდებულებების აღრიცხვასთან მიმართებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

) 2,274,969 ლარის ოდენობით სადეპოზიტო ვალდებულების წარმოშობის წელი და კრედიტორების ვინაობა არ არის იდენტიფიცირებული. აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, აღნიშნული საკითხი უკავშირდება ბიუროს შექმნის დროს არსებულ აღრიცხვის პრობლემებს, რის შედეგადაც ვერ ხერხდება კრედიტორების იდენტიფიცირება;

) აღსრულების ეროვნული ბიუროს 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შემოსავლებიდან 514,000 ლარის⁷ წარმოშობის თარიღია 2020 ან წინა წელი და, შესაბამისად, არ წარმოადგენს მიმდინარე წლის შემოსავალს. ასევე 2021 წელს გამომუშავებული⁸ შემოსავლების ნაწილი – 221,000 ლარი, არ არის აღიარებული 2021 წლის ანგარიშგებაში;⁹

) სადეპოზიტო ვალდებულებების ანგარიშზე არსებული ნაშთების და ოპერაციების კონტროლისთვის არ არსებობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა დამუშავება ხდება მანუალურად, MS Excel-ის პროგრამაში, რაც საჭიროებს დიდ დროით რესურსს. კონტროლის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომის დაშვების რისკიც. ამგვარი სახის კონტროლი ვერ უზრუნველყოფს სადეპოზიტო თანხების შესახებ სანდო და ოპერატიული ინფორმაციის მიღებას;

) სადეპოზიტო ვალდებულების საბოლოო ნაშთი მოიცავს გამარტივებული საქმისწარმოების საფასურს, თანხით – 67,000 ლარი, რაც ბიუროს შემოსავალია და არა ვალდებულება.

მიზეზი

შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვასთან დაკავშირებული სირთულე.

გავლენა

შემოსავლებისა და ვალდებულებების აღრიცხვასთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების ოპერატიული და სრულყოფილი კონტროლის, ასევე შემოსავლების დარიცხვის მეთოდით მომზადების უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნულ ბიუროში სრულყოფილად დაინერგოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

⁶ ფულადი თანხა ან სხვა ფასეულობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს.

⁷ დღგ-ის ჩათვლით.

⁸ დაანგარიშების თარიღი: 2021 წელი.

⁹ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა უკვე შესყიდულია 2021 წელს და მიმდინარეობს ბაზების გადატანის პროცესი.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც აღსრულების ეროვნული ბიურო
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

1.5 შემოსავლების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს შემოსავლების სისტემა მოიცავს ყოველდღიურ რუტინულ და მრავალრიცხოვან ოპერაციას, რომელთა დარიცხვის მეთოდის საფუძველზე აღრიცხვა მოითხოვს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მხარდაჭერას და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არსებობას, რაც დღეის მდგომარეობით აღნიშნულ სსიპ-ებში შემუშავებული არ არის.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება ინფორმაცია მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ.

აუდიტის შედეგად, ბილინგის სისტემაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია, დაახლოებით, 829,000 ლარის განაცხადი,¹⁰ რომელსაც აქვს სტატუსი – „მიმდინარე“. შესაბამისად, თანხა 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად შემოსავლისა, უნდა აღიარდეს, როგორც კრედიტორული დავალიანება (მიღებული ავანსი).¹¹

მიზეზი

შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვასთან დაკავშირებული სირთულე.

გავლენა

შემოსავლების აღრიცხვის სისრულესა და სიზუსტესთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

შემოსავლების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით სერვისების სააგენტომ უზრუნველყოს ისეთი IT სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს

¹⁰ საჯარო რეესტრის სააგენტო - 379,859 ლარი; სერვისების სააგენტო - 449,120 ლარი.

¹¹ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (დარიცხვის მეთოდის განმარტება).

„საქონლისა და მომსახურების“ რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში საჯარო რეესტრის სააგენტოზე გაცემულია რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსი არის მიმდინარე.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სერვისების განვითარების სააგენტო

1.6 სააღრიცხვო პოლიტიკის ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სამინისტროს არ აქვს შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო მეთოდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად (მაგალითად, მარაგების აღრიცხვის მეთოდი).

აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ აქვს შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა მარაგების აღრიცხვასთან დაკავშირებით.

მიზეზი

სისტემის შიგნით ერთსა და იმავე საკითხთან მიმართებით, საერთო მიდგომის ჩამოყალიბების სირთულე.

გავლენა

სხვადასხვა საბალანსო ერთეულებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით (ძირითადი აქტივები, ცვეთის ხარჯი, ქონების გადასახადის ხარჯის აღიარება) აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის არსებობა.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც**გაიცა რეკომენდაცია****შესასრულებლად**

სამინისტრო, აღსრულების ეროვნული ბიურო

1. 7 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები**აუდიტის მიგნება**

პენიტენციურ სამსახურში არ არის დანერგილი შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მედიკამენტების მიღებისა და გახარჯვის ოპერაციების თანმიმდევრულ აღრიცხვას. ამასთანავე, გამოვლინდა სხვაობები აქტით ჩამოწერილ მედიკამენტებსა და ბუღალტრულ ოპერაციებს შორის.¹² მედიკამენტების მართვის ელექტრონული პროგრამის არარსებობამ, შესაძლოა გამოიწვიოს როგორც აღრიცხვასთან დაკავშირებული რისკები და პრობლემები, ასევე მედიკამენტების არამიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები.

იუსტიციის სახლს არ აქვს დანერგილი შესაბამისი კონტროლები საწვავის გახარჯვის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, 2021 წელს გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ვერ იდენტიფიცირდა ერთ-ერთი VIP ბარათით¹³ გახარჯული დიზელის საწვავის მიზნობრიობა.

მიზეზი

არასრულყოფილი კონტროლი.

გავლენა

მარაგების აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

მარაგების სათანადო დაცულობისა და მართვის მიზნით, მნიშვნელოვანია:

-) **პენიტენციურმა სამსახურმა** დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მედიკამენტების შემოსავალში მიღების და ხარჯებში ჩამოწერის ოპერაციების თანმიმდევრულ აღრიცხვას. ამასთანავე, ანალიზური ფორმით ჩამოწერილი ცალკეული მედიკამენტის შესაბამისი ჩამოწერის აქტის იდენტიფიცირებას;

¹² სხვაობას იწვევს ის გარემოება, რომ ვერ ესწრება მიღებული მედიკამენტების ბუღალტრული ასახვა, მაშინ როდესაც მედიკამენტი უკვე გახარჯულია. ამასთანავე, ზოგჯერ ვერ იდენტიფიცირდება ჩამოწერილი მედიკამენტების შესაბამისი აქტები.

¹³ ორგანიზაცია საწვავის მოხმარებისთვის რიგ შემთხვევაში იყენებს VIP ბარათებს, რომლის საშუალებით ხდება საწვავების გატანა გენერატორებისთვის და მივლების დროს მოსამსახურეთა პირადი ავტომობილებისთვის.

) იუსტიციის სახლმა დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს საწვავის გაცემის/ჩამოწერის სათანადო მონიტორინგს და აღრიცხვას.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სპეციალური პენიტენციური სამსახური, იუსტიციის სახლი

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 არაფინანსური აქტივების არასწორი კლასიფიკაცია

აუდიტის მიგნება	არაფინანსური აქტივების არასწორი კლასიფიკაციის შემთხვევები:
	) სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ 187,000 ლარის ღირებულების აქტივი ნაცვლად დაუმთავრებელი მშენებლობისა, ირიცხება ძირითად აქტივებში;) იუსტიციის სახლის ფინანსურ ანგარიშგებაში 82,699,670 ლარი არასწორად არის კლასიფიცირებული „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში¹⁴ და არ ირიცხება ცვეთა;) იუსტიციის სახლის ფინანსურ ანგარიშგებაში, დაახლოებით, 72,000 ლარის ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა ნაცვლად „არამატერიალური აქტივებისა“, ასახულია „სხვა მანქანა-დანადგარების“ ანგარიშზე;) იუსტიციის სახლის მიერ დაცვის მომსახურების ხარჯი – 443,488 ლარი, შეცდომით აისახა როგორც „საქონელი და მომსახურების ხარჯში“, ასევე „ძირითადი აქტივების“ მიღების ოპერაციაში. შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი გაზრდილადაა წარმოდგენილი;) იუსტიციის სახლის მიერ „ძირითადი აქტივების“ მუხლი 75,791 ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი, რადგან არ არის ელიმინირებული შიდა ოპერაცია;) სერვისების სააგენტოს 495,450 ლარის კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემა ნაცვლად „არამატერიალურ აქტივებისა“, არასწორად აქვს კლასიფიცირებული „ძირითადი საშუალებების“ ანგარიშზე.¹⁵
კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სპეციალური პენიტენციური სამსახური, იუსტიციის სახლი, სერვისების სააგენტო

¹⁴ იუსტიციის სახლს საჯარო რეესტრისა და სერვისების სააგენტოებისგან გადმოეცა თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე 2014 წლამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, თუმცა ექსპლოატაციის ხარვეზის გამო, ვერ ხდებდა სწორი კლასიფიკაცია.

¹⁵ 10-წლიანი მომსახურების ვადის მქონე აქტივები მიღებულია 2021 წელს და არ აქვს დარიცხული წლიური ცვეთის ხარჯი.

2.2 სააღრიცხვო ინსტრუქციის არასწორი გამოყენება

აუდიტის მიგნება

სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ 2021 წელს გადაფასდა ცალკეული ძირითადი აქტივები, რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციასთან,¹⁶ კერძოდ:

- ⌋ **საჯარო რეესტრის სააგენტომ** 2021 წელს გადააფასა¹⁷ 16 სატრანსპორტო საშუალება, რის შედეგადაც მათი ღირებულება გაიზარდა 196,490 ლარით;
- ⌋ **პენიტენციურმა სამსახურმა** 2021 წელს გადააფასა ბალანსზე რიცხული 175 სატრანსპორტო საშუალება,¹⁸ რომელთა ღირებულება აუდიტის დასკვნის¹⁹ მიხედვით გაიზარდა 3,488,706 ლარით, თუმცა ბუღალტრულად აისახა 172,415 ლარით ნაკლები ღირებულებით.²⁰

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

საჯარო რეესტრის სააგენტო, სპეციალური პენიტენციური სამსახური

2.3 ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა

აუდიტის მიგნება

„ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების“ მუხლთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

- ⌋ **საჯარო რეესტრის სააგენტო** ცვეთის დასარიცხ ბაზად იყენებს 2012 წლის დასაწყისისთვის არსებულ ნარჩენ ღირებულებებს, რის გამოც საანგარიშო პერიოდში ცვეთის ხარჯი შემცირებულადაა წარდგენილი. ამასთანავე, 2020 წელს სათავო ოფისის შენობაზე დაურიცხავი ცვეთა 296,744 ლარის ოდენობით, ნაცვლად წინა პერიოდის შეცდომების რეტროსპექტული გასწორებისა, აისახა 2021 წელს, რის გამოც საანგარიშო პერიოდის ცვეთის ხარჯი გაზრდილადაა წარმოდგენილი;
- ⌋ **იუსტიციის სახლის მიერ** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხ ბაზად ნაცვლად ისტორიული ღირებულებისა, გამოყენებულია

¹⁶ სააღრიცხვო ინსტრუქცია- მუხლი 10, პუნქტი 23.

სსზასს 17, ძირითადი საშუალებები, მუხლი 51 - კონკრეტული ძირითადი აქტივის გადაფასების შემთხვევაში, აუცილებელია მთლიანად გადაფასდეს ძირითადი აქტივების ის ჯგუფი, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება.

¹⁷ 2021 წლის დასაწყისში არსებული 37 სატრანსპორტო საშუალებიდან გადააფასა მხოლოდ 16 ერთეული.

¹⁸ 2021 წლის დასაწყისში არსებული 331 სატრანსპორტო საშუალებიდან შეაფასა მხოლოდ 175 სატრანსპორტო საშუალება.

¹⁹ სატრანსპორტო საშუალებების შეფასების აუდიტის დასკვნა N180, 31.05.2021წ.

²⁰ ტექნიკური ხარვეზის გამო 7 გადაფასებული სატრანსპორტო საშუალება ბუღალტრულად არ აისახა.

	ნარჩენი საბალანსო ღირებულება. ამასთანავე, 2021 წელს სხვადასხვა აქტივზე 572,000 ლარის ცვეთის ხარჯი²¹ გაზრდილდაა წარმოდგენილი. აღნიშნულ აქტივებს ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება ჯამურად და არა თითოეული აქტივის მიხედვით;²²) პენიტენციური სამსახურის მიერ არ არის დარიცხული ცვეთა, დაახლოებით; 270,533 ლარის ღირებულების სხვა დანარჩენ მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობებზე;²³) სერვისების სააგენტოს პროგრამული ხარვეზის გამო, ძირითად საშუალებებზე ცვეთა 104,000 ლარით შემცირებულად აქვს დარიცხული.
კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სპეციალური პენიტენციური სამსახური, იუსტიციის სახლი, სერვისების სააგენტო, საჯარო რეესტრი

2.4 მოთხოვნების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება	საჯარო რეესტრის სააგენტოს საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე არსებული მოთხოვნის ნაშთი ჯამურად 180,610 ლარით ნაკლებია 2021 წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საგადასახადო მოთხოვნების ნაშთზე.
კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	საჯარო რეესტრი

2.5 ვალდებულებების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება	კრედიტორული დავალიანების აღრიცხვისას გამოვლენილი ნაკლოვანებები:
-----------------	---

²¹ არასაცხოვრებელ შენობებზე 60,000 ლარი (ახალციხე და გურჯაანი), სატრანსპორტო საშუალებების - 97,000 ლარი, „სხვა მანქანა დანადგარების და მოწყობილობების“ - 415,000 ლარი.

²² ფინანსთა მინისტრის N289 ბრძანებით განსაზღვრული ცვეთის ინსტრუქციის მე-4 მუხლი.

²³ 331 დასახელების სხვადასხვა აქტივი.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

-) პენიტენციური სამსახურის ვალდებულებების საბოლოო ნაშთი 438,000 ლარითაა გაზრდილი, რაც უკავშირდება შეცდომით ორი კომპანიის დავალიანების დუბლირებულად დარიცხვას;²⁴
-) კრედიტორული დავალიანების ნაშთი მოიცავს 2005 წელს გაუქმებული მიწის მართვის დეპარტამენტის 1,160,374 ლარის ვალდებულებებს, რაც წარმოადგენს 2004 წლამდე წარმოშობილ დავალიანებებს,²⁵ რომელზეც ბრუნვა არ განხორციელებულა წლების განმავლობაში, შესაბამისად, მათი დაფარვის ალბათობა დაბალია.²⁶

სპეციალური პენიტენციური სამსახური, სამინისტრო

2.6 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

შემოსავლებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

-) სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების²⁷ ფარგლებში მიღებული შემოსავლები ასახულია 1,620,000 ლარის ოდენობით, საიდანაც 200,000 ლარი წარმოადგენს კონტრაქტორისთვის უკან დაბრუნებულ თანხას, ხოლო 1,163,611 ლარი აღრიცხულია საკასო მეთოდით.²⁸ შედეგად, შემოსავლების მუხლი 1,363,611 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი;
-) აშშ-ის საელჩომ პენიტენციურ სამსახურს 2020 წელს გადასცა 30 ერთეული 111,817 ლარის ღირებულების პერსონალური კომპიუტერები, რომელთა ასახვაც ბუღალტრულად შემოსავლებში განხორციელდა 2021 წელს;
-) საჯარო რეესტრის მიერ შემოსავლებში არ არის ასახული სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად მისაღები 58,000 ლარი.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სპეციალური პენიტენციური სამსახური, საჯარო რეესტრი

²⁴ შპს „ილი ჯგუფი“ - 236,712 ლარი, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ - 202,000 ლარი.

²⁵ სხვადასხვა ორგანიზაციის და ყოფილი თანამშრომლების მიმართ.

²⁶ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (ვალდებულების განმარტება).

²⁷ ხელშეკრულება N2, 25.10.2021წ.

²⁸ 2 თვის და 5 დღის თანხა.

2.7 ხარჯების აღრიცხვა

აუდიტის მიგნება	ხარჯებთან მიმართებით გამოვლენილია შემდეგი გარემოებები:
	) პენიტენციური სამსახურის მიერ გაორმაგებულად მოხდა ხარჯების დარიცხვა 438,000 ლარის ოდენობით;²⁹) პენიტენციური სამსახურის მიერ 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2022 წლის გრანტის ხარჯი – 153,463 ლარის ოდენობით;³⁰) საჯარო რეესტრის მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული 1,564,416 ლარის საქონლისა და მომსახურების ხარჯი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია როგორც მიმდინარე ტრანსფერი, რაც არ შეესაბამება საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმას;) საჯარო რეესტრის მიერ მსოფლიო ბანკის პროგრამის საქონლისა და მომსახურების ხარჯი აღირიცხა საკასო მეთოდით, მაშინ როდესაც ზემოაღნიშნული ხარჯებიდან 149,777 ლარი წარმოადგენდა მარაგების შესყიდვას, რის გამოც, საქონლისა და მომსახურების ხარჯები გაზრდილადაა წარმოდგენილი;) სერვისების სააგენტოს მიერ 2021 წელს ასახულია წინა წლის 30,000 ლარის საქონელი და მომსახურების ხარჯი;) პენიტენციური სამსახურის მიერ 2021 წელს განხორციელდა 215,372 ლარის³¹ მარაგების ჩამოწერა, რაც უკავშირდება წინა პერიოდის ხარჯებს.
კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სპეციალური პენიტენციური სამსახური, სერვისების სააგენტო, საჯარო რეესტრი

2.8 სრულად ფლობილ სახელმწიფო საწარმოებში არსებული წილების კონსოლიდაცია კაპიტალ-მეთოდით

აუდიტის მიგნება	
	იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მის სისტემაში შემავალი სსიპ-ების მფლობელობაში არსებული სახელმწიფო საწარმოები არ

²⁹ იხ. ქვეთავი 2.5, სქოლიო 27.

³⁰ ქონების მართვის სააგენტოზე გადაცემული სატრანსპორტო საშუალებები. მიღება-ჩაბარების აქტი, 21.01.2022წ.

³¹ 117,874 ლარი წარმოადგენს წინა წლების მედიკამენტების ხარჯს, 97,498 ლარი კი, რბილი ინვენტარის და უნიფორმის ხარჯებს.

არის კონსოლიდირებული კაპიტალ-მეთოდით, კერძოდ:

) სსიპ – დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 825,000 ლარის გრძელვადიანი ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის დაკორექტირებული კაპიტალ-მეთოდით.³²

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო

³² შპს „პერსპექტივის“ საწესდებო კაპიტალი 2021 წელს შეადგენდა 828,345 ლარს, ხოლო აკუმულირებული ზარალი - 311,653 ლარს.

3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის საკითხები

3.1 ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის არარსებობა

აუდიტის მიგნება

იუსტიციის სამინისტროს და სპეციალური პენიტენციური სამსახურს, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ითვლებიან კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტებად,³³ არ გააჩნიათ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,³⁴ რაც მნიშვნელოვნად ზრდის რისკებს ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

იუსტიციის სამინისტრო, სპეციალური პენიტენციური სამსახური

³³ „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის N312 დადგენილება.

³⁴ 6391-ლს (05.06.2012წ.), მუხლი 4.

4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია	აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების სრული და ზუსტი აღრიცხვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია: • შემუშავდეს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური მარაგების და ძირითადი საშუალებების სათანადო ანალიზურ აღრიცხვას და მინიმუმამდე შეამცირებს შეცდომების რისკს; • მოძრავ ძირითად საშუალებებზე განისაზღვრონ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე – იუსტიციის სახლი.
რეკომენდაცია	აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ასევე ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, საჯარო რეესტრის სააგენტომ ინვენტარიზაცია ჩაატაროს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე – საჯარო რეესტრი.
რეკომენდაცია	აუდიტის ობიექტის მიერ სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიებთან შედგეს კომუნიკაცია ხელშეკრულებების კორექტირების და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მიზნით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული – იუსტიციის სახლი.
რეკომენდაცია	აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ცენტრალურ საწყობსა და ყველა იმ ქვედანაყოფში, სადაც მიმდინარეობს ფასეულობების მიღება, შენახვა და

	განაწილება, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან გაფორმდეს ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე – საჯარო რეესტრი.
რეკომენდაცია	იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, შიდა აუდიტის წლიური გეგმით განისაზღვროს კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა საქმიანობა, კერძოდ: დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება, ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სისრულის და სიზუსტის შეფასება და ა.შ.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული – საჯარო რეესტრი, სერვისების სააგენტო, ნაწილობრივ შესრულებული - პრობაციის ეროვნული სააგენტო; მიმდინარე – იუსტიციის სახლი.
რეკომენდაცია	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია იუსტიციის სამინისტროში შემავალმა საბალანსო ერთეულებმა სამინისტროსთან კოორდინაციით შეიმუშაონ და დაწერონ ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან, ინფორმაციის გამოტოვებასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას, ასევე განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული – პენიტენციური სამსახური, აღსრულება, პრობაციის სააგენტო, იუსტიციის სახლი, სასწავლო ცენტრი, მაცნე, სერვისების სააგენტო; მიმდინარე – საჯარო რეესტრი.
რეკომენდაცია	სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების ოპერატიული და სრულყოფილი კონტროლის, ასევე შემოსავლების დარიცხვის მეთოდით მომზადების უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული – აღსრულების ეროვნული ბიურო.
რეკომენდაცია	სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით, უზრუნველყოს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისებთან მიმართებით კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული – პენიტენციური სამსახური.
რეკომენდაცია	ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, საჯარო რეესტრის სააგენტომ, იუსტიციის სახლმა და სერვისების სააგენტომ განახორციელონ ღირებულების გარეშე არსებული აქტივების შეფასება და ბალანსზე ასახვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული – იუსტიციის სახლი, საჯარო რეესტრი, სერვისების სააგენტო; ნაწილობრივ შესრულებული – პენიტენციური სამსახური.
რეკომენდაცია	ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების სამართლიანად წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია, სამინისტროს დაქვემდებარებულმა ერთეულებმა უზრუნველყონ ქონებების ფაქტობრივად მოსარგებლე ორგანიზაციებთან კომუნიკაცია და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მათ გადაეცეთ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული – აღსრულების ეროვნული ბიურო; მიმდინარე – პენიტენციური სამსახური.

რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ ყოველწლიური ინვენტარიზაციის საფუძველზე დადგინდეს ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების რეალობა, მათი ამოღების ალბათობის შეფასება, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული – ეროვნული არქივი; მიმდინარე – საჯარო რეესტრი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამინისტროს და მის დაქვემდებარებულ უწყებებში შემუშავდეს პოლიტიკა სასამართლო დავების აღრიცხვასთან დაკავშირებით, რაც უნდა მოიცავდეს სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასებას, და საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული – აღსრულების ეროვნული ბიურო, პრობაციის სააგენტო, იუსტიციის სახლი, სასწავლო ცენტრი, მაცნე, სერვისების სააგენტო; ნაწილობრივ შესრულებული – ეროვნული არქივი; მიმდინარე – საჯარო რეესტრი, ციფრული მმართველობის სააგენტო.
რეკომენდაცია	შემოსავლების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით სერვისებისა და საჯარო რეესტრის სააგენტოებმა უზრუნველყონ ისეთი IT სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს „საქონლისა და მომსახურების“ რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული – სერვისები; მიმდინარე – საჯარო.
რეკომენდაცია	შენობის ექსპლოატაციაში მიღების პრობლემის აღმოფხვრის, ფაქტობრივ სარგებლობასთან და სწორად აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, იუსტიციის სახლმა შეადგინოს დროში გაწერილი გეგმა იუსტიციის სახლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარვეზის/ნაკლოვანების იდენტიფიცირებისა და გამოსწორების მიზნით.

რეკომენდაციის შესრულების მიმდინარე – იუსტიციის სახლი.
სტატუსი

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
პროცესზე
პასუხისმგებელი პირი

თამარ ბარბაქაძე

ელ. ფოსტის მისამართი: Tbarbaqadze@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის
სამსახურის
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის სისტემა

<https://aris.sao.ge/>

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE